ტრენინგი და სუპერვიზიის ჩარჩო

სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერა მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის

(საპილოტე ვერსია)

World Vision International-ის ფილიალი საქართველოში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2019 წელი

ავტორები:

მარიამ მიქიაშვილი, ანა მიქიაშვილი

WV საქართველოს ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ტექნიკური პროგრამის კოორდინატორი:

ცირა ბარქაია

რედაქტორი

ჭაბუკი ქირია

1. ტრენინგი

ტრენინგის დასახელება: სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერა მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის

სამიზნე ჯგუფი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პრაქტიკოსები

მონაწილეთა რეკომენდებული რაოდენობა: 8-12 მონაწილე; არაუმეტეს 16 მონაწილისა

ტრენინგის ხანგრძლივობა: 4 დღე; დღეში 5 საათი. სულ 20 სთ.

სატრენინგო დღეებს შორის შესაძლოა იყოს ინტერვალები

ტრენინგმოდულის ავტორები: მარიამ მიქიაშვილი, ანა მიქიაშვილი

მომზადების თარიღი: სექტემბერი, 2018 წ.

ტრენინგ-მოდულის მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია: World Vision International-ის ფილიალი საქართველოში

ტრენინგის მიზანი:

მონაწილეებს გააცნოს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის სასკოლო მზაობის გაფართოებული მხარდაჭერის კონცეფცია და ხედვა, აღჭურვოს ისინი აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში მუშაობისთვის აუცილებელი საბაზისო ცოდნით და უნარებით.

ტრენინგის მოსალოდნელი შედეგები:

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილე:

- ✓ განასხვავებს მხედველობის სხვადასხვა სახის დარღვევას და მის გავლენას ბავშვის დამოუკიდებელ ფუნქციონირებაზე;
- ✓ შეიძენს სიბაზისო ცოდნას მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლებისა და აღზრდის სტრატეგიების და დამხმარე ტექნოლოგიების შესახებ;
- ✓ გააცნობიერებს გარემოს ადაპტირების გზებს და სტრატეგიებს.
- ✓ შეძლებს გამოიცნოს მხედველობის დარღვევის ნიშნები
- ✓ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შეძლებს შეაფასოს სასწავლო გარემო;
- ✓ შეძლებს მოახდინოს აქტივობების მოდიფიკაცია მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;

- ✓ მუშაობის პროცესში დაეფუძნება გაფართოებული მხარდაჭერის პრინციპებსა და ხედვას, კონცეფციის ჩარჩოს;
- ✓ გააცნობიერებს მულტიდისციპლინური და გუნდური მუშაობის აუცილებლობას;
- ✓ გააცნობიერებს მშობლის ინფორმირებული ჩართულობის მნიშვნელობას და მშობელთან თანამშრომლობის როლს ბავშვის ბავშვის განვითარების პროცესში;
- ✓ შეძლებს სწორად შეარჩიოს ან თავად მოამზადოს სამუშაო მასალები მხედველობის დაარღვევის მქონე ბავშვთან მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;

ტრენინგის აღწერა

პირველი დღე

N	თემა	აქტივობა/ მეთოდი	აქტივობის მოკლე აღწერა	დრო	რესურსი
1	შესავალი	პრეზენტაცია	ინფორმაცია მოდულზე	20	პროექტორი, ლეპტოპი
2	გაცნობა			30	
3	მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი	ვიდეო, დისკუსია	ტრენერი მონაწილეებს აჩვენებს ვიდეოს უსინათლო ბავშვის შესახებ და ეკითხება, მათი აზრით, რა უნარები , რა სირთულეები შეიძლება ჰქონდეს ვიდეოში ნანახ ბავშვს სივრცეში ორიენტაციისას, თვითმოვლისას და მისთ.	10	პროექტორი, ლეპტოპი, დინამიკები
4	ადრეული და	ინტერაქციული	ტრენერი მონაწილეებს აცნობს სკოლამდელი აღზრდისა და	15	პროექტორი,

	სკოლამდელი აღზრდა-განათლება	პრეზენტაცია	განათლების კანონს და საბაზისო პრინციპებს. ტრენერი საუბრობს სასკოლო მზაობის გმამკვლევ „თამაშზე“.		ლეპტოპი
5	შესვენება			30	
6	გაფართოებული მხარდაჭერის კონცეფცია და ხედვა	პრეზენტაცია,	ტრენერი მონაწილეებს აცნობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის გაფართოებული მხარდაჭერის კონცეფციას და ესაუბრება მათ ამ მხარდაჭერის ხედვასა და მიზნებზე. მონაწილეები, შეძლებისდაგვარად ერთვებიან დისკუსიაში და სვამენ კითხვებს.	15	პროექტორი, ლეპტოპი
7	მხედველობის ანალიზატორი	ვიდეო, პრეზენტაცია, სიმულაცია	ტრენერი განმარტავს მხედველობის ანალიზატორს, ასახელებს მის შემადგენელ ორგანოებს და სათითაოდ აღწერს თითოეული მათგანის ფუნქციას. პრეზენტაციისა და ვიდეოს მეშვეობით ტრენერი ხსნის მხედველობის ყველაზე მეტად გავრცელებული დარღვევების ძირითად მახასიათებლებს და განუმარტავს მონაწილეებს, თუ რომელი დარღვევის შემთხვევაში რა სირთულეებს შეიძლება აწყდებოდეს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი. მონაწილეები სვამენ შეკითხვებს და აქტიურად არიან ჩართულნი ინტერაქციაში.	60	პროექტორი, ლეპტოპი, დინამიკები
8	შესვენება			20	
9	გარემო, მასალები, რესურსები	პრეზენტაცია, დაკვირვება მცირე ჯგუფებში, ჩანაწერების წარდგენა,	თავდაპირველად ტრენერი მონაწილეებს აჩვენებს პრეზენტაციას მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვისთვის მისაწვდომი გარემოს ელემენტების, ასევე საჭირო რესურსებისა და მასალების შესახებ. შემდეგ ტრენერი ყოფს მონაწილეებს მცირე ჯგუფებად და აძლევს დავალებას, დაათვალიერონ ბაღის ეზო, დერეფნები, საპირფარეშო, შეისწავლონ არსებული სათამაშოები და	80	პროექტორი, ლეპტოპი, ჩანაწერების ფურცლები, პასტები

		დისკუსია	განმავითარებელი რესურსი. მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის საჭიროებები და შეიმუშაონ რეკომენდაციები გარემოს გასაუმჯობესებლად, ასევე დაასახელონ, თუ რომელი სათამაშოს გამოყენება იქნება გამართლებული ასეთი დარღვევის მქონე ბავშვებთან მუშაობისას და რა რესურსის დამატებას ისურვებდნენ.		
10	შეჯამება	დისკუსია	ტრენერი აჯამებს დღეს, მონაწილეებს აქვთ საშუალება, დასვან შეკითხვები და დაასახელონ ფაქტორები, რაც მოეწონათ ან რის გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ შემდგომ დღეებში.	20	

მეორე დღე

N	თემა	აქტივობა/ მეთოდი	აქტივობის მოკლე აღწერა	დრო	რესურსი
1	მისალმება	ზეპირი საუბარი	ტრენერი ესალმება მონაწილეებს და მათთან ერთად მოკლედ იხსენებს წინა სატრენინგო დღეს.	10	
2	განვითარების ეტაპების და სამუშაო მიმართულებების ზოგადი მიმოხილვა	პრეზენტაცია	ტრენერი ეკითხება მონაწილეებს, თუ განვითარების რომელ სფეროებს იცნობენ და რა ასაკში იწყებს თითოეული მათგანი განვითარებას. შემდგომ ის თავად საუბრობს განვითარების სხვადასხვა სფეროს შესახებ და მოკლედ აღწერს თითოეულ მათგანს.	20	პროექტორი, ლეპტოპი
3	მოტორული სფეროს	პრეზენტაცია,	ტრენერი მონაწილეებს აჩვენებს ვიდეოს უსინათლო ბავშვის	20	პროექტორი,

	განვითარების თავისებურებები	ვიდეო	სტერეოტიპულ მოძრაობებზე, განმავითარებელ აქტივობებზე და პრეზენტაციის საშუალებით საუბრობს მოტორული უნარების განვითარებაზე როგორც მხედველი, ასევე მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში		ლეპტოპი
4	ორიენტაციისა და მობილობის უნარების განვითარება	პრეზენტაცია, სიმულაცია, პრაქტიკული სავარჯიშო, მუშაობა წყვილებში და მცირე ჯგუფებში, რეფლექსია	ტრენერი საუბრობს ორიენტაციისა და მობილობის რაობაზე, უხსნის მონაწილეებს ამ უნარების განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიებს. შემდეგ მონაწილეები იყოფიან წყვილებად, სადაც ერთ-ერთი მეწყვილე იხვევს თვალებს, ხოლო მეორე იცავს პირველის უსაფრთხოებას. წყვილები გადაადგილდებიან შენობის დერეფანში, კიბეებსა და ეზოში. ისინი ბრუნდებიან ოთახში. ტრენერი მონაწილეებს უხსნის გამცილებლის ტექნიკას. შემდეგ ყოფს სამკაციან ჯგუფებად, სადაც ერთი მონაწილე იხვევს თვალებს, მეორე არის მისი გამცილებელი, ხოლო მესამე _ დამკვირვებელი და კვლავ უშვებს მათ შენობის სხვადასხვა წერტილში. მონაწილეები ცვლიან როლებს, ისე, რომ ყველას მოუწიოს ყველა როლში ყოფნა.	40	პროექტორი, ლეპტოპი, თეთრი ხელჯოხი, მობილობის დამხმარე საშუალებები ბავშვებისთვის
5	შესვენება			20	
6	სენსორული არხები	დისკუსია, პრეზენტაცია	ტრენერი მონაწილეებს ეკითხება, თუ რომელ სენსორულ არხებს იცნობენ და სთხოვს მათ, აიფარონ ყურებზე ხელები და დააკვირდნენ გარემოს. შემდეგ დახუჭონ თვალები და ისე დააკვირდნენ გარემოს, მერე დადგნენ ცალ ფეხზე. მონაწილეები, სურვილისამებრ, საუბრობენ საკუთარ განცდებზე. შემდეგ ტრენერი აკეთებს პრეზენტაციას ყველა სენსორული არხის	20	პროექტორი, ლეპტოპი

			შესახებ და საუბრობს თითოეული მათგანის განვითარების მნიშვნელობაზე მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვისთვის. ტრენერი აღწერს სხვადასხვა სტერეოტიპულ მოძრაობებს და აცნობს მონაწილეებს მათი დაძლევის სტრატეგიებს		
7	სენსორული კომპენსატორული უნარების განვითარება	დისკუსია, პრეზენტაცია, პრაქტიკული სავარჯიშოები, რეფლექსია	ტრენერი მონაწილეებს უხსნის, თუ რა არის კომპენსატორული სენსორული უნარები. მონაწილეები თითოეულ უნართან დაკავშირებით იღებენ დავალებას და ასრულებენ მას ინდივიდუალურად. მონაწილეები, სურვილისამებრ, საუბრობენ საკუთარ განცდებზე და სვამენ შეკითხვებს.	40	პროექტორი, ლეპტოპი
8	ნარჩენი მხედველობის გამოყენება	სიმულაცია, რეფლექსია	ტრენერი მონაწილეებს ყოფს მცირე ჯგუფებად და სხვადასხვა ჯგუფს აძლევს სხვადასხვა დავალებას: სხვადასხვაგვარი განათების პირობებში სხვადასხვაგვარი სიმულაციური სათვალეების გამოყენებით აასხან ძაფზე მძივები, გადაწერონ ტექსტი, დააკვირდნენ თოჯინას, გაარჩიონ გატეხილი თხილი, კაკალი ან მზესუმზირა და შეჭამონ. ბოლოს ტრენერი აჯამებს სავარჯიშოებს, მონაწილეები საუბრობენ მიღებულ გამოცდილებაზე. ტრენერი საუბრობს ნარჩენი მხედველობის სტიმულირებისა და გამოყენების სტრატეგიებზე.	30	სიმულაციური სათვალეები, სხვადასხვა სანათი, ფურცლები, სხვადასხვა სისქის საწერი საშუალებები, მაგიდის კონტრასტული საფენი, სხვადასხვა ზომის და ფერის

					ბურთულები, ბრჭყვიალა, მკვეთრი და არამკვეთრი ფერის სათამაშოები
9	შესვენება			30	
10	დამხმარე საშუალებები	დისკუსია, პრეზენტაცია	ტრენერი მონაწილეებს უჩვენებს სხვადასხვა დამხმარე საშუალებას და ახასიათებს თითოეულ მათგანს. მონაწილეები ამბობენ, მათი აზრით, რომელი აქტივობის განხორციელებისას იქნება საჭირო ამ დამხმარე საშუალებების გამოყენება.	20	ლეპტოპი, პროექტორი, ელექტრო- და მექანიკური გამადიდებლები, „ლაითბოქსი“
11	კომუნიკაციის სფერო	პრეზენტაცია	ტრენერი საუბრობს კომუნიკაციის სფეროს რაობაზე და მისი განვითარების თავისებურებებზე როგორც მხედველ, ასევე უსინათლო ბავშვებში. მონაწილეები სვამენ შეკითხვებს.	10	ლეპტოპი, პროექტორი
12	მეტყველების განვითარების თავისებურებები	პრეზენტაცია, ქეისის განხილვა, გონებრივი იერიში	ტრენერი საუბრობს მეტყველების განვითარების თავისებურებებზე და შემდგომ უყვება მონაწილეებს მეტყველების დარღვევის მქონე უსინათლო ბავშვის ქეისს. მონაწილეებმა უნდა გამოყონ ძირითადი სირთულეები მეტყველებასა და, ზოგადად, კომუნიკაციაში და ტრენერთან ერთად გონებრივი იერიშის მეთოდით ჩამოთვალონ მეტყველების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიებს.	20	ლეპტოპი, პროექტორი,

13	შეჯამება		ტრენერი აჯამებს განვლილ დღეს, მონაწილეები სვამენ შეკითხვებს. შემდეგ მონაწილეები ასახელებენ იმ ფაქტორებს, რაც მოეწონათ ან რის შეცვლასაც ისურვებდნენ შემდგომ დღეებში.	20	

მესამე დღე

N	თემა	აქტივობა/ მეთოდი	აქტივობის მოკლე აღწერა	დრო	რესურსი
1	მისალმება	ზეპირი საუბარი	ტრენერი ესალმება მონაწილეებს და მათთან ერთად, მოკლედ იხსენებს განვლილ სატრენინგო დღეს	10	
2	სიმულაცია	სავარჯიშო „დოღი“	ტრენერი მონაწილეებს აძლევს მხედველობის დარღვევის სიმულაციურ სათვალეებს და ათამაშებს თამაშს „დოღი“. სავარჯიშოს შემდეგ მონაწილეებს აქვთ საშუალება, მიღებული გამოცდილების შესახებ გამოთქვან საკუთარი აზრი.	10	სიმულაციური სათვალეები
3	შემეცნებითი სფეროს განვითარების თავისებურებები	ინტერაქციული პრეზენტაცია, ფოტომასალა	ტრენერი საუბრობს შემეცნებითი სფეროს განვითარების თაისებურებებზე როგორც მხედველ, ასევე მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებში. მონაწილეებს აქვთ საშუალება, ჩაერთონ, გაუზიარონ სხვებს საკუთარი გამოცდილება და დასვან შეკითხვები.	15	პროექტორი, ლეპტოპი
4	კოგნიტური უნარების განვითარება	ინტერაქციული პრეზენტაცია,	ტრენერი მონაწილეებს აძლევს დავალებას, გაიხსენონ და ჩამოწერონ კოგნიტური უნარების განმავითარებელი 2-3	15	პროექტორი, ლეპტოპი

		ფოტომასალა	აქტივობა, რომელიც მორგებულია 5-6 წლის ბავშვზე. ტრენერი მონაწილეებთან ერთად მსჯელობს, რომელი აქტივობის განხორციელება იქნება შესაძლებელი უსინათლო და მცირემხედველ ბავშვებთან და რომელს დასჭირდება მოდიფიცირება.		
5	კომპენსატორული წინარეაკადემიური უნარების განვითარება	პრეზენტაცია, მასალების დემონსტრაცია	ტრენერი მონაწილეებს განუმარტავს, თუ რა არის კომპენსატორული წინარეაკადემიური უნარები და აჩვენებს მათ სხვადასხვა განმავითარებელ მასალას. მონაწილეები თავადაც იხსენებენ რესურსებს, რომელთა გამოყენებაც არის შესაძლებელი ამ მიზნით. ტრენერი საუბრობს ამ უნარების განვითარების სტრატეგიებზე.	20	პროექტორი, ლეპტოპი, დიდაქტიკური მასალები
6	ცნებების განვითარება	პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალება, მუშაობა მცირე ჯგუფებში, წარდგენა, რეფლექსია	ტრენერი მონაწილეებს ესაუბრება ცნებების განვითარების მნიშვნელობასა და საშუალებებზე. შემდგომ ყოფს მათ მცირე ჯგუფებად და აძლევს დავალებას. მონაწილეები მუშაობენ სხვადასხვა ცნების სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე. მათ უნდა გააკეთონ პრეზენტაცია ან ტრენერს (ვითომ ბავშვს), აუხსნან მათთვის დავალებად მიცემული ცნება.	40	პროექტორი, ლეპტოპი
7	შესვენება			30	
8	სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარება	ინტერაქციული პრეზენტაცია, ქეისის განხილვა	ტრენერი აკეთებს პრეზენტაციას, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების შესახებ. მონაწილეები სურვილისამებრ ერთვებიან და გამოთქვამენ მოსაზრებებს ან სვამენ შეკითხვებს. შემდგომ ტრენერი მონაწილეებს უყვება მხედველობის დარღვევის მქონე	20	პროექტორი, ლეპტოპი

			ბავშვის ქეისს, რომლის სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების სტრატეგიებიც უნდა მოიფიქრონ და დაასახელონ მონაწილეებმა. ტრენერი მათ აძლევს უკუკავშირს.		
9	სოციალური ინტერაქცია	ინტერაქციული პრეზენტაცია,	ტრენერი საუბრობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის შემთხვევაში სოციალური ინტერაქციის უნარის განვითარებაზე, მონაწილეები, სურვილისამებრ, სვამენ შეკითხვებს.	15	პროექტორი, ლეპტოპი
10	თვითადვოკატირება	მინიპრეზენტაცია, როლური თამაში	ტრენერი საუბრობს თვითადვოკატირების რაობაზე. შემდეგ ორ მოხალისეს ეძლევა სიტუაციური დავალება. ერთი არის 5 წლის უსინათლო ბავშვი, ხოლო მეორე _ ქუჩაში შემხვედრი უცნობი. მათ უნდა გაითამაშონ სიტუაცია და იპოვონ გამოსავალი. დანარჩენი მონაწილეები აკვირდებიან თამაშს და დასასრულ, აძლევენ უკუკავშირს თამაშის მონაწილეებს. ტრენერი საუბრობს თვითადვოკატირების მნიშვნელობასა და ფუნქციაზე.	15	პროექტორი, ლეპტოპი
11	პროფესიული ცნობიერება და როლური თამაშები	მინიპრეზენტაცია, როლური თამაში	ტრენერი საუბრობს პროფესიული ცნობიერების შესახებ. ტრენერი მონაწილეებთან ერთად განიხილავს სხვადასხვა როლურ თამაშს, მაგ., ექიმობანა, პოლიციელობანა, მასწავლებლობანა და თითოეული მათგანის შემთხვევაში საუბრობს, რა სახის მოდიფიკაცია შესაძლოა გახდეს საჭირო თამაშში მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ჩასართავად.	20	პროექტორი, ლეპტოპი
12	შესვენება			30	
13	გართობა-დასვენება	პრაქტიკული სავარჯიშო, დისკუსია,	ტრენერი მონაწილეებს ყოფს მცირე ჯგუფებად და აძლევს დავალებას, აირჩიონ ერთი თამაში და ჩართონ მასში ყველა მონაწილე სიმულაციური სათვალეების გამოყენებით. ყველა	40	პროექტორი, ლეპტოპი, ზარიანი

		ვიდეოჩვენება	ჯგუფი რიგრიგობით ათამაშებს სხვა ჯგუფებსა და ტრენერს. ბოლოს იღებენ უკუკავშირს თამაშების მისაწვდომობის შესახებ.		ბურთი, ადაპტირებული სამაგიდო თამაშები, სიმულაციური სათვალეები
14	შეჯამება		ტენერი აჯამებს გავლილ დღეს. მონაწილეები, სურვილისამებრ, სვამენ შეკითხვებს. მათ ასევე აქვთ საშუალება, დაასახელონ ის ფაქტორები, რაც მოეწონათ ან რის შეცვლასაც ისურვებდნენ შემდგომ სატრენინგო დღეს.	20	

მეოთხე დღე

N	თემა	აქტივობა/ მეთოდი	აქტივობის მოკლე აღწერა	დრო	რესურსი
1	მისალმება		ტრენერი ესალმება მონაწილებს და მოკლედ მიმოიხილავს წინა დღეს განვლილ საკითხებს.	10	
2	ჯგუფური აქტივობების მორგება და მხ. დარღ. მქონე ბავშვის ჩართვა აქტივობებში	მუშაობა მცირე ჯგუფებში	ტრენერი მონაწილეებს აძლევს დავალებას, მცირე ჯგუფებში მოიფიქრონ და ჩამოწერონ 5 აქტივობა ან თამაში, რომელიც განსაკუთრებით უყვართ 5-6 წლის მხედველ ბავშვებს. შემდეგ მათ უნდა მოახდინონ ამ აქტივობებისა და თამაშების იმგვარად მოდიფიცირება, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვმაც	90	ფლიპჩარტი, მარკერები, თოკი, ზარიანი ბურთი, სიმულაციური

			შეძლოს მათში ჩართვა. თითოეული ჯგუფი შეარჩევს თითო თამაშს, რომელსაც ითამაშებენ დანარჩენ ჯგუფები და ტრენერი. ტრენერი აძლევს მათ უკუკავშირს მოდიფიცირების შესაძლებლობების შესახებ.		სათვალეები, ჯგუფის რესურსები და სათამაშოები
3	შესვენება			30	
4	გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურებაში ჩართული სპეციალისტები	დისკუსია, თამაში	ტრენერი ჩამოთვლის გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურების მიმწოდებელ სპეციალისტებს. შემდეგ წრეზე აწყობს სკამებს და თითოეულზე დებს ფურცელს ხელშეწყობის თითოეული მიმართულების წარწერით: „სივრცითი ორიენტაცია და მობილობა“, „დამოუკიდებელი ცხოვრება“, „თვითადვოკატირება“ და სხვ. მონაწილეებს ეძლევათ ძაფები. მათ ძაფის ერთი ბოლო უნდა გამოიბან თვითონ, ხოლო მეორე გამოაბან იმ სკამს, რომელი სფეროს განვითარებაზეც თავად უნდა იმუშაონ. ერთ მონაწილეს შეუძლია რამდენიმე სკამსაც გამოაბას ძაფი. ტრენერი საუბრობს, იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება ყველა ეს სფერო ერთმანეთს და რა მნიშვნელობა აქვს გუნდურ მუშაობას.	20	თოკი ან მსხვილი ძაფი, მაკრატელი, ფლიპჩარტი, მარკერი
5	თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, მულტიდისციპლინური მიდგომა	დისკუსია, მეფინგი	ტრენერი მონაწილეებს ყოფს მცირე ჯგუფებად, ურიგებს ფლიპჩარტებს და აძლევს დავალებას, გამოსახონ ვიზუალურად, ვინ მუშაობს ბავშვთან დაწესებულების შიგნით, ვისთან უწევს თითოეულ სპეციალისტს თანამშრომლობა, ვინ შეიძლება იყოს	25	ფლიპჩარტები, მარკერები

			ჩართული პირი დაწესებულების გარეთ, კიდევ ვინ არის საჭირო დამატებითი რესურსების მობილიზებისათვის და/ან ინფორმაციის გაცვლისას. ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს და ტრენერი აძლევს მათ უკუკავშირს.		
6	მშობლის გაძლიერება, მშობლის ჩართულობა	ქეისის განხილვა, ვიდეო	ტრენერი მონაწილეებს უყვება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ქეისის შესახებ, რომელშიც აღწერილია არაინფორმირებული და ნაკლებად მოტივირებული მშობელი. მონაწილეები მართავენ დისკუსიას მშობლის გაძლიერების სტრატეგიების შესახებ და ცდილობენ იპოვონ საკუთარი როლი ამ პროცესში. შემდგომ ტრენერი მონაწილეებს აჩვენებს ვიდეოს „მშობლის დღიური“, სადაც ნათლად ჩანს, რამხელა მნიშვნელობა აქვს მშობლის ინფორმირებულ ჩართულობას მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის სწორი განვითარებისთვის.	25	პროექტორი, ლეპტოპი
7	შესვენება			30	
8	ტრანზიციის პროცესის მხარდაჭერა	დისკუსია, მეფინგი	ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, ჯგუფურად გაიხსენონ და დაასახელონ, თუ საიდან შეიძლება მოდიოდეს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი სასკოლო მზაობის ჯუფში, ანუ, რა საფეხურები შესაძლოა ჰქონდეს მას გავლილი. შემდგომ, სვამს კითხვას, თუ სად მიდის ბავშვი სასკოლო მზაობის ჯგუფიდან. ასევე, სად შეიძლება დადიოდეს ბავშვი სასკოლო მზაობის ჯგუფის პარალელურად. ტრენერი საუბრობს ინფორმაციისა და წარმატებული შემთხვევების, ასევე წარმატებული ტრანზიციისთვის სირთულეების გაზიარების მნიშვნელობაზე.	20	ფლიპჩარტი, მარკერი

9	შეჯამება		ტრენერი მონაწილეებთან ერთად იხსენებს ყველა გავლილ თემას და რამდენიმე წინადადებით მიმოიხილავს თითოეულ მათგანს. მონაწილეები ერთვებიან პროცესში. ტრენერი ხაზს უსვამს საერთო ხედვის არსებობის აუცილებლობას, გუნდური მუშაობის მნიშვნელობას, საუბრობს მშობლის როლზე. ტრენერი ასევე საუბრობს უსინათლო ბავშვისა და მცირემხედველი ბავშვის ხელშეწყობის ძირითად პრინციპებზე. მონაწილეებს აქვთ საშუალება, დასვან შეკითხვები. შემდეგ ის მონაწილეებს სთხოვს, წებოვან ფურცლებზე ჩამოწერონ, თუ რა იყო ყველაზე შთამბეჭდავი ტრენინგის განმავლობაში, რა იყო ყველაზე უსიამოვნო და რის შესახებ ისურვებდნენ ტრენინგს მომავალში. მონაწილეები ფურცლებს აწებებენ შესაბამის ფლიპჩარტზე. ტრენერი ემშვიდობება მონაწილეებს.	60	ფლიპჩარტი, მარკერი, წებოვანი ფურცლები

ტრენინგის საკითხავი მასალა: საკითხავ მასალად გამოყენებული იქნება სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის გზამკვლევი „მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის“.

2. სუპერვიზია

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის სასკოლო მზაობის ჯგუფის გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტები (პრაქტიკოსები) წარმოადგენენ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების პერსონალის განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, ისინი ბავშვებთან მუშაობენ გარეშე შემფასებლებისგან დამოუკიდებლად, გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით. თუმცა ვინაიდან წინასასკოლო მზაობის გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურება პილოტირების პროცესშია და უშუალოდ ბავშვებთან მუშაობისას შესაძლოა გამოიკვეთოს გარკვეული ხარვეზები, საწყის ეტაპზე იგეგმება სპეციალისტთა სუპერვიზია, ამის შემდეგ შესაძლოა გაიცეს რეკომენდაცია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე რომელიმე კონკრეტული მიმართულებით. შესაბამისად, აუცილებელია წარიმართოს მუშაობა რესურსების მოსაძიებლად გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურების მიმწოდებელი სპეციალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი ან სხვა ღონისძიება შესაძლოა დაგეგმოს და განახორციელოს თავად დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის ნაწილმა ან გარედან მოწვეულმა სპეციალისტებმა.

სუპერვიზიის კომპონენტი გულისხმობს კონცეფციის შემუშავებაში მონაწილე სუპერვიზორის დაკვირვებას სპეციალისტების სამუშაო პროცესზე, მათთვის უკუკავშირის მიცემას და განმეორებით დაკვირვებას პროგრესის მონიტორინგის მიზნით. უშუალოდ დაკვირვება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობისას, ასევე ჯგუფური აქტივობების განხორციელებისას. ჯგუფურ აქტივობებზე დაკვირვებისას სუპერვიზორი შესაძლოა ერთდროულად დააკვირდეს ერთ ან რამდენიმე სპეციალისტს. შესაბამისად, უკუკავშირის მიცემა მოხდება ყველა ჩართულ სპეციალისტთან ერთად. დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და უკუკავშირის გაცემა ხდება სუპერვიზორისა და პრაქტიკოსის პირისპირ შეხვედრისას. მესამე პირის დასწრება როგორც დაკვირვების პროცესში, ასევე უკუკავშირის მიცემის დროს დასაშვებია მხოლოდ სუპერვიზორისა და პრაქტიკოსის თანხმობის შემთხვევაში.

სუპერვიზიის მიზანი:

სუპერვიზიის მიზანია წინასასკოლო მზაობის გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტების მიერ ტრენინგზე შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მხარდაჭერა, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში არსებული სირთულეების და გამოწვევების გამოვლენა და ზომების მიღება მათ აღმოსაფხვრელად და/ან რეკომენდაციის გაცემა საჭირო ზომების მისაღებად, სპეციალისტების პრაქტიკული უნარების განვითარება-გაძლიერების ხელშეწყობა.

სუპერვიზიის სიხშირე და ხანგრძლივობა:

პროფესიული სუპერვიზია მოიცავს 5 შეხვედრას, რომელიც საჭიროების მიხედვით გადანაწილდება 1 თვის მანძილზე; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელოა სუპერვიზიის რაოდენობისა და ხანგრძლივობის გაზრდა.

სუპერვიზიის პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურებაში ჩართვიდან არანაკლებ ერთი თვისა და არაუმეტეს ორი თვის გასვლის შემდეგ სუპერვიზორი აკვირდება სპეციალისტის მუშაობას (დაახლ. 30 წთ). დაკვირვების შემდეგ სუპერვიზორი ხვდება პრაქტიკოსს ბავშვის გარეშე და აძლევს მას უკუკავშირს დაკვირვების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (დაახლ. 30 წთ.)
- სუპერვიზორი არანაკლებ 10 დღის და არაუმეტეს ორი კვირის ვადაში კვლავ აკვირდება იმავე სპეციალისტს (დაახლ. 30 წთ). მეორე დაკვირვების შემდეგ სუპერვიზორი ისევ ხვდება სპეციალისტს და აძლევს დასკვნით უკუკავშირს (დაახლ. 30 წთ.).
- მას შემდეგ, რაც დასრულდება სუპერვიზია გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურებაში ჩართულ ყველა სპეციალისტთან, სუპერვიზორი ატარებს გაერთიანებულ შეხვედრას. შეხვედრაში მონაწილეობს გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურებაში ჩართული ყველა სპეციალისტი, მათ შორის, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის პედაგოგი და აღმზრდელ-პედაგოგი, დაწესებულების ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი. შეხვედრის ხანგრძლივობა დაახლოებით 90 წთ-ია. შეხვედრაზე განიხილება ზოგადი საკითხები, რომლებიც გამოიკვეთა სუპერვიზიის პროცესში. სუპერვიზორი იცავს კონფიდენციალობას და არ საუბრობს ისეთ დეტალებზე, რომლებიც გამოიკვეთა ამა თუ იმ სპეციალისტის მუშაობის პროცესში და არ წარმოადგენს საერთო პრობლემას. სუპერვიზორი ისმენს სპეციალისტების აზრს და პასუხობს მათ შეკითხვებს. შეხვედრაზე განიხილება ასევე გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურების განვითარებისა და გაძლიერების საჭიროება და პერსპექტივები. სუპერვიზორი გასცემს რეკომენდაციებს სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე, თუ ამგვარი რამ გამოიკვეთა დაკვირვების პროცესში.

სუპერვიზიის და უკუკავშირის დროს გასათვალისწინებელი ძირითადი ასპექტები:

- რამდენად შეესაბამება აქტივობა ბავშვის უნარებს

- რამდენად ითვალისწინებს სპეციალისტი ბავშვის ვერბალურ და არავერბალურ უკუკავშირს
- რამდენად სწორად არის შერჩეული აქტივობის ადგილი
- რამდენად სწორად არის შერჩეული გამოყენებული მასალები და რესურსი
- რამდენად ზომიერია კომუნიკაცია ბავშვსა და სპეციალისტს შორის და ამყარებს თუ არა სპეციალისტი პოზიტიურ კომუნიკაციას ბავშვთან
- რამდენად არის გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები
- რამდენად რეალისტურად არის დაგეგმილი აქტივობა დროის განაწილების თვალსაზრისით
- რამდენად სწორად არის გათვალისწინებული გაფართოებული მხარდაჭერის ხედვა და პრინციპები.

სუპერვიზიის შედეგად რეკომენდაციის ადრესატი შესაძლოა იყოს:

- გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურების მიმწოდებელი სპეციალისტების გუნდი
- იმ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელშიც ტარდება სუპერვიზია
- ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები
- იმ რეგიონის მუნიციპალიტეტი, რომელსაც მიეკუთვნება სუპერვიზიის დაწესებულება.
- მშობლები/ოჯახები

სუპერვიზიის დოკუმენტური აღრიცხვის ფორმა:

სუპერვიზია N:	სუპერვიზიის თარიღი:	სუპერვიზიის გარემო:	სუპერვიზიის განმახორციელებელი:
სუპერვიზიისას განხორციელებული აქტივობები:			
გამოვლენილი საჭიროებები:			
გამოვლენილი ძლიერი მხარეები:			
რეკომენდაციები:			
სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია:			